№ 256 2009 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 6 აგვისტოს №64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად „საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 6 აგვისტოს №64 დადგენილებაში (სსმ, 2004 წელი, №83, III ნაწილი, მუხლი 732) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2004 წლის 6 აგვისტოს
№64 დადგენილებით

გერბის ადგილი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ --------

ეძლევა ----------
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

---------- მასზედ, რომ მას გადაეცა

საკუთრებაში ----------

(ქონების დასახელება, მისამართი და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები)

მიწის ფართობი ---------- ----------
(მიწათსარგებლობის ფორმა)

საფუძველი ----------

ხელშეკრულების თარიღი ----------
მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა

(მესაკუთრის სახელი, გვარი/დასახელება)
რომელიც ერთ ეგზემპლარს წარუდგენს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო მესამე ეგზემპლარი ინახება საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გამცემ სახელმწიფო ორგანოში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან. მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გაცემულია 201___ წლის „____“ _____

თანამდებობის პირის ხელმოწერა

ბ.ა.